საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი N15

ქ. თბილისი

09.07.2014

სხდომას ესწრებოდნენ:

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წევრები:

დავით კახნიაშვილი - საქართველოს კერძო სკოლების ასოციაციის თავმჯდომარე, სკოლა „მწიგნობართუხუცესის" დირექტორი, სხდომის თავმჯდომარე;
მაია ჩიხლაძე - შპს - საზოგადოებრივ კოლეჯ ,,პანაცეას''დირექტორის მოადგილე, მედიცინის დოქტორი; საბჭოს მდივანი;
ირაკლი მაჩაბელი - ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის პროფესორი; სხდომის თავმჯდომარე;
ნანა გაფრინდაშვილი - ა(ა)იპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
ზაზა მარუაშვილი - შპს - კავკასიის უნივერსიტეტის პროფესორი;
მამია ჯანჯალია - სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის უფროსის მოადგილე.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები:

გიორგი ცხვედიანი - აკრედიტაციის სამმართველოს უფროსი;
ლიკა გიორგაძე - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის სპეციალისტი;
ნინო გაგელიძე - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის სპეციალისტი.

აკრედიტაციის ექსპერტები:

ეკა ბაღიშვილი;
მაია გონაშვილი.

შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის წარმომადგენლები:

მარინა გედევანიშვილი;
თეა ლაზარაშვილი;
მინდია უგრეხელიძე.

აკრედიტაციის საბჭოს სხდომა დაიწყო 15:20 სთ-ზე. თავმჯდრომარისა და მისი მოადგილის არყოფნის გამო, სხდომის თავმჯდომარედ აირჩიეს დავით კახნიაშვილი.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სამართლის სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ფინანსების საბაკალავრო (რუსულენოვანი) პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის საერთაშორისო მარკეტინგის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის საერთაშორისო მარკეტინგის სამაგისტრო (ინგლისურენოვანი) პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

დ. კახნიაშვილი

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა ოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის N65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 26-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. მან საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 28-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

თავმჯდომარემ მიმართა დამსწრე საზოგადოებას, ხომ არ ჰქონდათ დღის წესრიგთან დაკავშირებით რაიმე შუამდგომლობა.

ადგილზე არ იმყოფებოდა ექსპერტი, რომელსაც უნდა წარედგინა ექსპერტთა ჯგუფის შედგენილი დასკვნა, შესაბამისად, 15:23 სთ-ზე გამოცხადდა შესვენება 15 წუთით. საბჭოს სხდომა განახლდა 15:40 სთ-ზე.

ავტორიზაციის სამმართველოს უფროსმა, ლაშა მარგიშვილმა განაცხადა შუამდგომლობის შესახებ - პირველი საკითხის გადატანა ბოლო საკითხად, რადგან ექსპერტს აგვიანდებოდა. შესაბამისად, საბჭომ დაამტკიცა დამტკიცდა დღის წესრიგი განახლებული სახით.

1. შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ფინანსების საბაკალავრო (რუსულენოვანი) პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის საერთაშორისო მარკეტინგის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის საერთაშორისო მარკეტინგის სამაგისტრო (ინგლისურენოვანი) პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა
4. შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სამართლის სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

ირაკლი მაჩაბელმა განაცხადა თვითაცილება დღის წესრიგით გათვალისწინებულ ყველა საკითხთან დაკავშირებით.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

ე. ჯაბიშვილი

1. **შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ფინანსების საბაკალავრო (რუსულენოვანი) პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა**

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება	ფინანსები
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ფინანსებში
სწავლების ენა	რუსული
კვალიფიკაციის კოდი	0204
კრედიტების რაოდენობა	240

ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს გააცნო ექსპერტმა მაია გონაშვილმა, რომელმაც გაახმოვანა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

- მიზანშეწონილია, მაკროეკონომიკის წინაპირობა იყოს მიკროეკონომიკა და არა კალკულუსი და ეკონომიკური თეორია, რომელიც ისედაც არის მიკროს წინაპირობა;
- სასურველია პრაქტიკის სილაბუსში „პრაქტიკა ბანკში" დამატებით საფინანსო ინსტიტუტების საკითხის გაძლიერება, რადგან პროგრამა ფინანსებშია და არა საბანკო საქმეში.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის წარმომადგენელმა, მარინა გედევანიშვილმა აღნიშნა, რომ თვითონ პროგრამა შეიქმნა გარკვეული მიზნიდან გამომდინარე, კერძოდ, უნივერსიტეტში ბევრი აზერბაიჯანელი სწავლობდა, ვისაც უნივერსიტეტმა შესთავაზა ქართულენოვანი პროგრამა, ამისთვის მათ 10-14 საათის განმავლობაში ასწავლიდნენ ქართულ ენას, მაგრამ შედეგი არ იყო დიდი. ამის გამო აზერბაიჯანელმა დამფუძლებლებმა ითხოვეს პროგრამის რუსულენოვანი ანალოგის შექმნა. უნივერსიტეტმა ჩაატარა ბაზრის კვლევა, შეაფასა, რამდენად შეესაბამებოდა უნივერსიტეტის მისიას, დასაქმების მოთხოვნებს და ფაქტობრივად, პროგრამა წარმოადგენს არსებულის რუსულენოვან ანალოგს. აკადემიური პერსონალიც შერჩეული იყო ფუნდამენტურად, მაგალითად ნინო ქავთარაძე იყო პროგრამის ლექტორი, მაგრამ ვერ დააკმაყოფილა მოთხოვნები და უნივერსიტეტმა მოიწვია თამარ გამსახურდია. მარინა გედევანიშვილმა რეკომენდაციასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ მისაღები იყო და უკვე წარმოდგენილი ჰქონდათ ახალი ვარიანტი.

მან ასევე გააკეთა განმარტება პრაქტიკასთან დაკავშირებით, ვიზიტის მომენტისთვის ხელშეკრულება გაფორმებული იყო რესპუბლიკა ბანკთან, ამჟამინდელი მდგომარეობით კი დამატებული იყო ჯიპიაი ჰოლდინგთან დადებული ხელშეკრულებაც, ასევე, იგეგმებოდა პრაქტიკა მიკროსაფინანსო ორგანიზაციაშიც და სტუდენტს თვითონ შეეძლებოდა არჩევა, სად მიეღო გამოცდილება. პრაქტიკასთან დაკავშირებული რეკომენდაციაც მისაღები იყო დაწესებულებისთვის.

დავით კახნიაშვილმა იკითხა დასახელებული აზერბაიჯანელები ხომ არ იყვნენ საქართველოს მოქალაქეები.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ისინი წარმოადგენდნენ აზერბაიჯანის მოქალაქეებს, ვინც უგამოცდოდ ირიცხება კანონმდებლობის შესაბამისად, მათ ქართული არ იციან, მაგრამ დაწესებულება სთავაზობს ქართულის 60-კრედიტიან პროგრამას, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ყველაფერი კეთდება უნივერსიტეტის მხრიდან ინტეგრაციისთვის, მაინც ვერ გადიან შედეგზე.

საბჭოს წევრი დაინტერესდა, რა დონეზე იცოდნენ რუსული ენა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ რუსული ძალიან კარგად იციან, რადგან რუსულენოვანი განათლება აქვთ მიღებული სკოლაში.

2. **შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის საერთაშორისო მარკეტინგის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა**

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება	საერთაშორისო მარკეტინგი
განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი მარკეტინგში
სწავლების ენა	ქართული
კვალიფიკაციის კოდი	0202
კრედიტების რაოდენობა	120

ექსპერტმა მაია გონაშვილმა საბჭოს გააცნო ექსპერტების მიერ შემუშავებული ერთადერთი რეკომენდაცია:

მიზანშეწონილია, მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების წინაპირობა იყოს სტუდენტის მიერ არა 125 კრედიტის დაგროვება, არამედ 120 კრედიტისა. კერძოდ, კვლევით კომპონენტში სამაგისტრო ნაშრომის დაცვისთვის გამოყოფილია 30 კრედიტი, ხოლო პროსპექტუსისთვის დამატებით 5 კრედიტი. ვთვლით, რომ ეს ყველაფერი ერთიანად უნდა იყოს 30 კრედიტი, რაც ინტერვიუს დროსაც დადასტურდა.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მისცა საშუალება, გამოეთქვა აზრი. დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, გამომდინარე იქიდან, რომ საქართველოს უჭირს საექსპორტო მუშაობა, მათი მიზანი იყო, ორგანიზაციების დაკმაყოფილება იმ კადრების მიწოდებით, ვინც შეძლებენ საქმიანი ურთიერთობა წარმართონ მარკეტოლოგებთან, მათთვის პროფესიული უნარების გამომუშავება, სწორედ ამან განაპირობა საერთაშორისო მარკეტინგის პროგრამის შექმნა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ამ საკითხზეც იყო ჩატარებული ბაზრის კვლევა. მათ მიწვეული ჰყავდათ კახაბერ ჯაყელი და ორი ასოცირებული პროფესორი. მათ ჩაატარეს კონკურსი, რათა შეერჩიათ კადრები, ვინც შეძლებდნენ ინგლისურ ენაზე ლექციების წაკითხვას.

კონკრეტულად რეკომენდაციასთან დაკავშირებით, წარმომადგენელმა განმარტა, რომ ბოლომდე არ იზიარებდა, გამომდინარე იქიდან, რომ ორიენტაცია კვლევაზე ჰქონდათ გაკეთებული, არ დაუნახავთ პრობლემა იმაში, რომ კრედიტის მოცულობა მის საფუძველზე გაზარდეს. მან ასევე განაცხადა, რომ გათვალისწინებულია ასევე მარკეტინგის გაძლიერებული კურსი, რისი წინაპირობაც ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნაა, რადგან თანამედროვე სახელმძღვანელოები სწორედ ინგლისურენოვანია.

დავით კახნიაშვილი დაინტერესდა სტუდენტების რაოდენობით. მარინა გედევანიშვილმა უპასუხა, რომ სტუდენტი ჯერ არ ჰყავდათ, რადგან ეს იყო ახალი პროგრამა.

3. შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის საერთაშორისო მარკეტინგის სამაგისტრო (ინგლისურენოვანი) პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება	საერთაშორისო მარკეტინგი
განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი მარკეტინგში
სწავლების ენა	ინგლისური
კვალიფიკაციის კოდი	0202
კრედიტების რაოდენობა	120

ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს გააცნო ექსპერტმა მაია გონაშვილმა, რომელმაც გაახმოვანა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაცია:

მიზანშეწონილია, მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების წინაპირობა იყოს სტუდენტის მიერ არა 125 კრედიტის დაგროვება, არამედ 120 კრედიტისა. კერძოდ, კვლევით კომპონენტში სამაგისტრო ნაშრომის დაცვისთვის გამოყოფილია 30 კრედიტი, ხოლო პროსპექტუსისთვის დამატებით 5 კრედიტი. ვთვლით, რომ ეს ყველაფერი ერთიანად უნდა იყოს 30 კრედიტი, რაც ინტერვიუს დროსაც დადასტურდა.

გამომდინარე იქიდან, რომ პროგრამა იყო წინა პროგრამის ანალოგი და რეკომენდაციაც არ შეცვლილა ექსპერტების მხრიდან, საკითხის დეტალური განხილვა აღარ მომხდარა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ კვირაში 38-39 წაათს უთმობდნენ სამაგისტრო ნაშრომს, ანუ უფრო მეტს აკეთებენ, ვიდრე მოეთხოვებათ და ამაში თანხასაც არ ახდევინებენ სტუდენტებს.

საბჭოს წევრმა, დავით კახნიაშვილმა მოიწონა უნივერსიტეტის მიდგომა და აღნიშნა, რომ ამაში გამოიხატებოდა უნივერსიტეტის ინდივიდუალიზმი.

4. შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სამართლის სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება	სამართალი
განათლების საფეხური	დოქტორანტურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	სამართლის დოქტორი
სწავლების ენა	ქართული
კვალიფიკაციის კოდი	06
კრედიტების რაოდენობა	180

ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს გააცნო ექსპერტმა ეკა ბაღიშვილმა, რომელმაც გაახმოვანა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

- სასწავლო კომპონენტის არჩევით ნაწილში სტუდენტს შეთავაზებული აქვს მხოლოდ ორი საგანი: განათლების მენეჯმენტი და განათლების სამართალი და კურიკულუმის შემუშავების მეთოდიკა. სასურველია, გაიზარდოს არჩევითი საგნების რაოდენობა;
- სასურველია საგანში "აკადემიური წერა და სამეცნიერო კვლევის მეთოდები", რომელიც ძირითადად დისერტაციის დიზაინის საკითხებს მოიცავს (მხოლოდ ორი თემაა აკადემიური წერის), გაიყოს ან დაემატოს კვლევის მეთოდები და აკადემიური წერის თავისებურებები;
- დაწესებულებას გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები უცხოეთის უნივერსიტეტებთან, თუმცა სწავლების, სამეცნიერო მუშაობისა და კურსდამთავრებულთა დასაქმებულობის ინტერნაციონალიზაციის გაფართოების მიზნით, სასურველია გაიზარდოს მათი რიცხვიდა ასევე დამყარდეს კავშირები დასავლეთ ევროპისა და ამერიკის უნივერსიტეტებთანაც;
- სასურველია, მომავალში გერმანულენოვანი ლიტერატურის შეთავაზების გათვალისწინება.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ 2011 წლიდან უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის მთავარი საზრუნავი სამართლის ფაკულტეტის გაძლიერება იყო და ამისთვის მათ შეარჩიეს ბატონი მინდიას კანდიდატურა. კონკურსების საფუძველზე შეირჩა პროფესიონალი კადრები. მან აღნიშნა, რომ მანამდე არ შემოუტანიათ პროგრამის აკრედიტაციაზე განაცხადი, სანამ სათანადო დონეზე არ გაძლიერდა. მარინა გედევანიშვილმა აღნიშნა, რომ არც ეს პროგრამა იყო მოდიფიცირებული და ჯამში ჰყავდათ 19 პროფესორი სამართლის მიმართულებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ შეიძინეს დიდი ბიბლიოთეკა და ყველაზე დიდ მოტივაციას წარმოადგენდა ის, რომ ძლიერი პერსონალის პირობებში უნივერსიტეტს თავისთვისვე აღეზარდა საუკეთესო კადრები სამართალში. ჩატარებული კვლევის საფუძველზე აღმოჩნდა, რომ სამართლის დოქტორებზე ისეთი მოთხოვნაა, როგორც არასდროს და კავკასიის უნივერსიტეტის ამ პროგრამის სამეცნიერო კვლევისა და სასწავლო ნაწილები გამჭვირვალედ იყო ჩაშლილი კომპონენტებად.

ინტერნაციონალიზაციის საკითხთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ მუშაობენ ამ მიმართულებით, ხოლო გერმანულენოვან ლიტერატურაზე განმარტა, რომ სავალდებულოდ ვერ მიუთითებდნენ, რადგან არ ჰყავთ გერმანულენოვანი ლექტორები და შესაძლოა ეს ლიტერატურა შეიტანონ არჩევითი საგნების ბლოკში. მან ასევე განაცხადა, რომ უნივერსიტეტს ჰქონდა ფინანსური უზრუნველყოფა იმისთვის, რომ 1 სემესტრის განმავლობაში დააფინანსონ ყველა დოქტორანტი, ვისაც, საკვლევი თემიდან გამომდინარე, მოუნდებათ საზღვარგარეთ ჩაატარონ კვლევა.

დაწესებულების წარმომადგენელმა, მინდია უგრეხელიძემ განაცხადა, რომ მნიშვნელოვანია მეცნიერების არსებითი მხარე, რომლის სწავლებას აზრი დაეკარგება, თუ თვითონაც არ განიცდის ცვლილებას. მან თქვა, რომ იმყოფებოდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში, სადაც იქმნებოდა კომისია, რომელიც იმუშავებდა მეცნიერული დარგების განვითარების მიმართულებით და მას ირაკლი ჟორდანია უხელმძღვანელებდა. მინდია დაევალა სამართლის მეცნიერების საკითხის გაძღოლა. მან აღნიშნა, რომ დაინტერესების გაზრდა ამ კუთხით სხვა ამოცანების წინაშე აყენებდა უნივერსიტეტსაც და საჭირო იყო ამ ინიციატივისთვის მხარის აბმა. მინდია აღნიშნა, რომ იმყოფებოდა მივლინებით და იქაურმა კოლეგებმა სრული მხარდაჭერა აღუთქვეს, მაგალითად ადამიანის უფლებათა ინსტიტუტის დირექტორმა, რომელიც სექტემბერში ესტუმრება მათ.

საბჭოს წევრმა, დავით კახნიაშვილმა ითხოვა, აკადემიური წერისა და სამეცნიერო კვლევის მეთოდების გაყოფის შესახებ და არჩევითი საგნების რაოდენობის გაზრდის რეკომენდაციასთან დაკავშირებით გაეკეთებინათ განმარტება.

დ. კახნიაშვილი

დაწესებულების წარმომადგენელმა, მარინა გედევანიშვილმა, განაცხადა, რომ აუცილებლად გაზრდიდნენ რაოდენობას, ხოლო მეთოდებს რაც შეეხება, დაამატებდნენ სამართლებრივი წერის საკითხებს, რითაც გაძლიერდებოდა აკადემიური წერის ნაწილი.

მინდია უგრეხელიძემ მადლობა გადაუხადა ექსპერტებს და გერმანულენოვან ლიტერატურაზე აღნიშნა, რომ იმდენად დიდია ეს რესურსი, სირთულეს წარმოადგენდა მისი აქ ჩამოტანა. თუმცა, ამ ლიტერატურით სარგებლობა შეეძლებოდათ სხვა უნივერსიტეტებს. მან განაცხადა, რომ საქართველოში არსებობს უნიკალური გერმანული კლასიკური ლიტერატურაც, ისეთი, რომელიც გერმანიაშიც კი დეფიციტი იყო.

საბჭოს წევრმა, მაია ჩიხლაძემ იკითხა, რამდენი სტატია მოეთხოვებოდა სტუდენტს დისერტაციის დაცვის წინ და თუ ითვალისწინებდა ეს ინტერნაციონალიზაციის თემას.

დაწესებულების წარმომადგენელმა მარინა გედევანიშვილმა უპასუხა, რომ სტუდენტს მოეთხოვებოდა 3 საერთაშორისო კონფერენციაში მონაწილეობის მიღება.

ზაზა მარუაშვილმა განაცხადა, რომ კარგად იცნობდა პროგრამას და იმედი გამოთქვა, რომ წარმატებული იქნებოდა, თანაც, დადებითი დასკვნა ჰქონდა მიცემული ისეთ ექსპერტს, როგორიც ეკა ბაღიშვილია. მან გამოხატა სინანული, რომ მინდია და ზვიადი კავკასიის უნივერსიტეტმა თავის დროზე ვერ შეინარჩუნა და უსურვა წარმატება. ასევე, ურჩია პრობლემური სემინარებისთვის დაეთმოთ დრო, რათა ყოფილიყო სამართალზე ორიენტირებული და არა სტანდარტული პროგრამა. დაწესებულების წარმომადგენლებმა საბჭოს წევრებს მადლობა გადაუხადეს.

16:22 სთ-ზე გამოცხადდა შესვენება. სხდომა განახლდა 16:30 სთ-ზე.

სხდომის თავმჯდომარემ დამსწრე საზოგადოებას გააცნო საბჭოს გადაწყვეტილებები:

- შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ფინანსების საბაკალავრო (რუსულენოვანი) პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია (მომხრე - 5; წინააღმდეგი - 0);
- შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის საერთაშორისო მარკეტინგის სამაგისტრო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია (მომხრე - 5; წინააღმდეგი - 0);
- შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის საერთაშორისო მარკეტინგის სამაგისტრო (ინგლისურენოვანი) პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია (მომხრე - 5; წინააღმდეგი - 0);
- შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სამართლის სადოქტორო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია (მომხრე - 5; წინააღმდეგი - 0).

დაწესებულების წარმომადგენელმა, მარინა გედევანიშვილმა, სიტყვა ითხოვა საბჭოს სხდომის დასრულებამდე და გამოხატა თავისი პატივისცემა საბჭოს წარმოდგენილი შემადგენლობის მიმართ. მან მადლობა გადაუხადა საბჭოს წევრებს, რადგან არ დაიზარეს და მხოლოდ ერთი უნივერსიტეტის პროგრამების განხილვისთვის შეიკრიბნენ და განაცხადა, რომ დიდი ადამიანობაა, როცა კონკურენტი უნივერსიტეტის პროგრამებისთვის დადებით შეფასებას არ იშურებენ. მარინა გედევანიშვილმა გამოთქვა იმედი, რომ 25 ივლისის შემდეგ შედგენილი საბჭოც ასეთივე იქნებოდა.

დავით კახნიაშვილმა მადლობა გადაუხადა დაწესებულების წარმომადგენელს.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ სხდომა დასრულდა 16:35 სთ-ზე.

თავმჯდომარე
დავით კახნიაშვილი

მდივანი
მაია ჩიხლაძე